პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 164 (18406) პარასკევი, 16 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეკონომიკური განათლება და აღზრდა

როგორ მოვაწყოთ უკეთ, უფრო ეფექტიანად მუშაობა თითოეულ კონკრეტულ უბანზე? რა და როგორ უნდა გაკეთდეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების უმკაცრესი ეკონომიისათვის ამა თუ იმ წარმოებაში, ამა თუ იმ დარგში? ზუსტ და დროულ პასუხს თვით ცხოვრების მიერ დღეს დასმულ კითხვებზე ბევრად განსაზღვრავს ჩვენი კადრების — მუშებისა და კოლმეურნეების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების ეკონომიკური მომზადების დონე.

სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ შექმნილმა ეკონომიკური განათლების სისტემამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ჩვენს იდეურ-აღმზრდელობითსა და სამეურნეო მუშაობაში. 36 მილიონზე მეტი კაცი სწავლობდა გასულ სასწავლო წელს მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, წარმოების მართვის, მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხებს პარტიული და ეკონომიკური განათლების, კომკავშირული პოლიტგანათლების სხვადასხვა რგოლში. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის კარგი დაყენება ახასიათებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლატვიის სსრ, ბაშკირეთის, ნოვგოროდის, ორენბურგის, დონეცკის ოლქების ბევრ პარტორგანიზაციასა და შრომით კოლექტივს. ბევრი რამ გაკეთდა საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, ფერადი მეტალურგიის სამინისტროსა და მთელი რიგი სხვა სამინისტროების საწარმოებში კადრების ეკონომიკური მომზადების გაუმჯობესებისათვის.

ამავე დროს, როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში „მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ", ეკონომიკური სწავლების ხარისხი და შედეგიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის XXVI ყრილობის იმ სტრატეგიულ დებულებას, რომ დავამთავროთ ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, გავხადოთ იგი ნამდვილად ეკონომიური. ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრისა და 1982 წლის მაისის პლენუმების მიერ დასმული ამოცანები მოითხოვს ეკონომიკური განათლებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვას, მაღალ ეკონომიკურ კულტურას, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას.

დადგენილების რეკომენდაციათა შესაბამისად პარტიულმა კომიტეტებმა და ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის როლის ამაღლებისათვის ეკონომიკის ინტენსიფიკაციაში, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, საბჭოთა ცხოვრების წესის მატერიალური და სულიერი საფუძვლების განმტკიცებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა ეკონომიკური მომზადებისა და აღზრდის გაუმჯობესებას, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დაუფლებას.

„ПРАВДА"
15 ივლისის მოწინავე

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უნდა უწყობდეს დადგენილებით დამტკიცებული ეკონომიკური განათლების სტრუქტურა, რომელშიც შედის კომუნისტური შრომის, კონკრეტული ეკონომიკის სკოლები და ეკონომიკური სემინარები. ყველა ფორმის სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს რომ მსმენელებმა ღრმად აითვისონ მარქსისტულ-ლენინური თეორია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელების ნაშრომები. ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ მეცადინეობის პრაქტიკული მიმართულება. ეკონომიკური პრობლემების ჩამოყალიბების დროს რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ვიხმაროთ ზოგადი ფრაზები და ანბანური ჭეშმარიტებანი, რაც შეიძლება მეტად დავუკავშიროთ იგი ხუთწლედის საკვანძო ამოცანებს, უწინარეს ყოვლისა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, ყველა სახეობის რესურსების მომჭირნეობას, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, უწინარეს ყოვლისა ბრიგადული იჯარის თანამიმდევრულ განვითარებას.

დიდი როლი განეკუთვნება მშრომელთა მიერ ეკონომიკის საკითხების დამოუკიდებელ შესწავლას. ამის გათვალისწინებით უნდა ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის ხარისხი, ახალ დონეზე ავიყვანოთ ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის მეცნიერების სახალხო უნივერსიტეტების მუშაობა, მეტი ყურადღება დავუთმოთ პარტიის ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის შესწავლას პარტიული და კომკავშირული სწავლების სისტემაში. კომუნისტებისა და კომკავშირელების, მართვის ყველა რგოლის ხელმძღვანელების ვალია აჩვენებდნენ თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის დაუფლების, მათი უნარიანი პრაქტიკული გამოყენების მაგალითს.

მთლიანად რომ განვახორციელოთ დადგენილების რეკომენდაციები, საჭიროა უკვე ახლა, დროის დაუკარგავად, დავიწყოთ სერიოზული და ყოველმხრივი მზადება მომავალი მეცადინეობისათვის. სამინისტროებსა და უწყებებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს დაევალათ გააქტიურონ ეკონომიკური განათლების საბჭოების საქმიანობა, განამტკიცონ მატერიალური ბაზა, აღჭურვონ აუდიტორიები და კაბინეტები ტექნიკური საშუალებებით. ეკონომიკური სწავლება კადრებთან მუშაობის ორგანული ნაწილია და, მაშასადამე, საჭიროა ვიზრუნოთ მისი გეგმაზომიერებისა და მიზანდასახულობისათვის, იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მსმენელთა ინტერესები, მათი საწარმოო საქმიანობის შინაარსი, მორალური და მატერიალური სტიმულირება.

სწავლების ხარისხი და შედეგიანობა გადამწყვეტწილად დამოკიდებულია პროპაგანდისტებზე. ეკონომიკური პროპაგანდის პასუხსაგები საქმე უწინარეს ყოვლისა უნდა მივანდოთ ხელმძღვანელ კადრებს, ეკონომისტებს, სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. უნდა გავაფართოოთ პროპაგანდისტთა მომზადება მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და საწარმოო გაერთიანებების ბაზაზე. მთავარია გავაძლიეროთ თეორიული და მეთოდიკური დახმარება მეცადინეობის ხელმძღვანელებისადმი, უზრუნველვყოთ პირველ რიგში მათი ინფორმირება ეკონომიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, მოწინავე საბჭოური და საზღვარგარეთული გამოცდილების შესახებ.

კადრების ეკონომიკური მომზადება, ისევე როგორც ყველა სხვა პარტიული საქმე, ვერ ურიგდება კამპანიურობას, ზერელე მიდგომას, ფორმალიზმს. პარტიული კომიტეტების მოვალეობაა ყველგან მოაგვარონ განუხრელი კონტროლი მორიგი სასწავლო წლისათვის მომზადების მიმდინარეობისადმი, მეცადინეობის ხარისხისადმი. კომუნისტთა ღირსების საქმეა იბრძოლონ იმისათვის, რომ ეკონომიკური სწავლება და აღზრდა თითოეულ კოლექტივში გახდეს მეურნეობრიობისა და მართვის დონის ამაღლების ქმედითი ფაქტორი, ხელს უწყობდეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგიის, ცოდნის დიადი ძალის მთელი სისრულით გამოყენებას კომუნისტური მშენებლობის გეგმების რეალიზაციაში.

სადგურზე მუშაობის ორი თვე

ფრენის მართვის ცენტრი, 14 ივლისი. (საკდესი). ორი თვეა მუშაობენ „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი.

კოსმონავტები განაგრძობენ „პროგრეს-14" ავტომატური სატრანსპორტო ხომალდის განტვირთვის სამუშაოებს. ორბიტაზე მიტანილი ტვირთის დიდი ნაწილი, მათ შორის სურსათ-სანოვაგე, სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის რეგენერატორები, დამატებითი მოწყობილობა, აპარატურა, ეკიპაჟმა სადგურის ნაკვეთურებში გადაიტანა.

დღეს წარმოებს გაერთიანებული ძრავის დანადგარის ავზების კმაგაწყობა საწვავით და სატვირთო ხომალდის ავზებიდან სასმელი წყლის გადატუმბვა სადგურის ავზებში.

კოსმონავტების მოხსენებებით, სამუშაოთა პროგრამა „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5"-„პროგრეს-14" პილოტირებულ კომპლექსში წარმატებით სრულდება.

ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

60 საიუბილეო დამკვრელური ვახტი: მინდვრებსა და პლანტაციებში, შახტებსა და ნავსადგურებში

თბილისი

პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ნაყოფიერად იბრძვის მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. საწარმოს მთელი კოლექტივი ფართოდ არის ჩაბმული სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორც ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. ღლონტმა გვითხრა, აქ მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრეს ნახევარი წელი, № 1 სამკერვალო საამქროს კოლექტივმა კი, რომელსაც ნ. თურქაძე ხელმძღვანელობს, ყველაზე ადრე შეასრულა ექვსი თვის გეგმა. ვადამდე ნახევარი წლის დავალებების შესრულება უპატაკა სამშობლოს აგრეთვე 400 მკერავმა.

„კომუნისტის" კორ.

ბათუმი

გემების ვადამდე დამუშავებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ეს კი მოსახერხებელია მხოლოდ მაშინ, როცა გემების ეკიპაჟები და ნავსადგურის კოლექტივები კომპლექსურად შრომობენ. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდების ეკიპაჟებსა და დოკერებს საამისოდ დიდი გამოცდილება აქვთ. და აი, ამას წინათ საქართველოს სანაოსნოს მადანზიდ „მზიარე თოიძის" ეკიპაჟმა გვინეის ნავსადგურ კონაკრიში შესვლის წინ შეჯიბრებაში გამოიწვია იქაური დოკერები და შეთანხმდნენ გემი კომპლექსური მეთოდით დაეცალათ. გვინელებმა მიიღეს გამოწვევა, შეჯიბრებას კარგი შედეგი მოჰყვა. მნიშვნელოვნად დაჩქარდა ტემპი. ასეთმა შეჯიბრებამ შედეგი მოიტანა. ხომალდი 7 საათით ადრე დამუშავდა და ვადამდე გავიდა რეისში.

(საქ. კორ.).

ორჯონიკიძე

რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის (დირექტორი — ზ. კიკნაძე) კოლექტივი ფართოდ ჩაება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. როგორც კომბინატის ეკონომისტმა ნ. ტაბატაძემ გვაცნობა, კომბინატელებმა ექვსი თვის სახელმწიფო გეგმა 25 ივნისისათვის შეასრულეს და მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 79 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს. ვალდებულება კი მხოლოდ 6 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა.

საწარმოში განხორციელდა ღონისძიებები გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. ერთ მანეთ პროდუქციაზე საგეგმოსთან შედარებით 1,16 კაპიკით ნაკლები იხარჯება.

„კომუნისტის" კორ.

ეს დღეები სოფლად

● ხაშური. რაიონის მშრომელები თავდადებით იღვწიან სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლის თავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ზაფხულის ამ გაგანია დღეებში ხალხმრავლობაა ხეხილის ბაღებში, საზოგადოებრივ ზვრებში, ხოდაბუნებში. წარმატებით მიმდინარეობს ქერის აღება და დაბინავება.

თავი ისახელეს რაიონის მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მოუღლელად შრომობენ მებოსტნეები. დამთავრდა ნივრის აღება. რაიონმა წლეულს გადაჭარბებით შეასრულა ამ შრომატევადი ბოსტნეულის წარმოების წლიური გეგმა.

აბრეშუმის პარკის, ნივრის მოყვანისა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წლევანდელი წლის გეგმა-დავალებების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სურამის, ოსიაურის, „ზემო ქართლის" კოლმეურნეობები, ქვიშხეთის, ალისა და ფლევის საბჭოთა მეურნეობები. („კომუნისტის" კორ.).

● ხობი. წლევანდელ საიუბილეო წელს წარმატებებს აღწევენ ხობელი მეჩაიეები. რაიონში 15 ივლისისათვის მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარეს 4980 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 48 პროცენტს შეადგენს.

— რაოდენობასთან ერთად ხარისხი, — ამ დევიზით შრომობენ სახელოვანი მეჩაიეები და წარმატებებსაც აღწევენ. დამზადებული ნედლეულის 88 პროცენტი პირველი ხარისხისაა. ეს შარშან ამ დროისათვის მოკრეფილს 12 პროცენტით აღემატება.

კოლხური ჩაის რაოდენობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო სახალხო ლაშქრობაში წარმატებებს აღწევენ ახალი ხიბულის, საჯიჯაოს, ხიბულის, ნოჯიხევის, ძველი ხიბულის და რაიონის სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მეჩაიეები და მექანიზატორები. მათ ნახელავს დროულად და ხარისხოვნად ამუშავებენ საჯიჯაოსა და ხობის ჩაის ფაბრიკები.

„კომუნისტის" კორ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოწევისათვის ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ვახტანგ ქარჩავას მიენიჭა წარმოების დარგში 1981 წლის ლენინური კომკავშირის პრემია.

აი უკვე ოთხი წელია მშობლიური კოლმეურნეობის პლანტაციებში ატარებს თავის ჩაის საკრეფ მანქანას „საქართველოს" ახალგაზრდა მეჩაიე, სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატი, მერგოლური ვ. ქარჩავა. 110 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა მან შარშან. ამ სეზონში კი გადაწყვიტა ეს მაჩვენებელი 130 ტონამდე გაზარდოს.

სურათებზე: მექანიზატორი მეჩაიე ვახტანგ ქარჩავა; კოლმეურნეობის პლანტაციებში ჩაის კრეფს ვახტანგ ქარჩავას რგოლი.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაბრკოლებას გადავლახავთ, მივაღწევთ წარმატებას

პატრიოტულმა თაოსნობამ — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა", ახალი ცხოველმყოფელობა შემატა კომუნისტური შრომის იმ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ბრიგადის თითოეულმა წევრმა შარშან დამკვრელურად იშრომა და ქვანახშირის მონგრევის წლიური ნორმა დიდი გადაჭარბებით — 141,2 პროცენტით შეასრულა, სამრეწველო საწარმოებს გეგმის გადამეტებით გავუგზავნეთ 4653 ტონა ენერგეტიკული ქვანახშირი. კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლებით დავამთავრეთ მიმდინარე წლის ექვსი თვე. ვცდილობთ კიდევ უფრო განვავითაროთ საიუბილეო შეჯიბრების შემართება და რიტმი. ამ დღეებში ბრიგადის წევრებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვიტეს იკისრონ გადიდებული სოციალისტური ვალდებულება და ხუთწლედის ორი წლის დავალება მეშახტის ტრადიციული დღის — 29 აგვისტოსათვის შეასრულონ.

რა გზით ვაპირებთ სიტყვის შესრულებას, რა რეზერვები და შესაძლებლობანი გვაქვს?

პირველი გზა ეს არის შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამუშაო დღის შემჭიდროება, ვცდილობთ არ დავკარგოთ არც ერთი სამუშაო წუთი, დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს. ბრიგადის ექვსივე წევრმა — მე, გ. ჯებაშვილმა, გ. კუბლაშვილმა, გ. კაპანაძემ, დ. ჩაფიძემ და გ. ჩიქობავამ პირობა დავდეთ, რომ თითოეული ჩვენგანი ცვლაში ნორმის გადამეტებით მოანგრევს 4-5 ტონა ქვანახშირს და მარტო ამ გზით შრომის ნაყოფიერებას 25 პროცენტით გავზრდით.

ყურადღებას ვაქცევთ პროფესიულ დაოსტატებას. ბრიგადის ხუთი წევრი 4-4 მომიჯნავე პროფესიას ფლობს. გვყავს ერთი ახალბედა წევრი — გ. ჩიქობავა, რომელმაც მოკლე დროში აითვისა ორი სპეციალობა და ახლა მესამე პროფესიას ეუფლება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დროულ წარმართვას, რათა ყოველთვის მზად გვქონდეს სარეზერვო სანგრევის ხაზი. აღმოსავლეთ ფრთაზე ვამზადებთ ახალ ჰორიზონტს, რომლის ამოქმედებით დიდად გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება. წინათ ჩვენი უბნის ქვანახშირის ამოსაღებ ფენას დამრეცი მიმართულება ჰქონდა. ეს აიოლებდა მონგრეული ნახშირის ტრანსპორტირებას, იგი ლავის მთელს სიგრძეზე თვითგორვით გადაადგილდებოდა ხოლმე. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, გართულდა გეოლოგიური პირობები, ქვანახშირის ფენამ ჰორიზონტალური მიმართულება მიიღო. ამან გააძნელა მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირება.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საქმეს უშველა სანგრევში მექანიზაციის დანერგვამ. ბრიგადის ძალებით დავდგით სკრეპერი, რომელმაც მთლიანად შეცვალა მეშახტის ხელის შრომა.

ლავაში მონგრეული ნახშირი, სანამ საშახტო ვაგონეტებში ჩავტვირთავთ, მიწისქვეშა დერეფნებით მოგზაურობს. ამ დერეფნებში მომხვეტი კონვეიერებია განლაგებული, რომლებსაც ნახშირი სატვირთავ პუნქტამდე მიაქვთ. წინათ ჩვენი უბნის ყველა კონვეიერი გადაყვანილი იყო ავტომატურ-დისტანციურ მართვაზე, რაც აჩქარებდა ნახშირის ტრანსპორტირებას, უსაფრთხოს ხდიდა და აიოლებდა ადამიანის შრომას. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ეს ასე როდია. საჭირო მოწყობილობის ნაკლებობის გამო ავტომატები გაუქმდა. ახლა უბნის ორი კონვეიერის მართვაზე ბრიგადის ერთი წევრი და ცვლის უფროსია დასაქმებული. ეს საბოლოოდ ზიანს აყენებს ქვანახშირის ამოღების საქმეს, ამცირებს ბრიგადის შრომის ნაყოფიერებას. ამიტომ მიზნად დავისახეთ აღნიშნული კონვეიერები რაც შეიძლება მალე გადავიყვანოთ ავტომატურ დისტანციურ მართვაზე. ამ საქმეში გვჭირდება შახტის ტექნიკური მომარაგების მუშაკების ქმედითი დახმარება. მათ რაც შეიძლება მალე უნდა შემოზიდონ საჭირო აპარატები და სათადარიგო მოწყობილობა.

ჩვენს უბანში, ისე როგორც მთელ შახტში, წარმატებით დაინერგა ლითონის სამაგრი, რამაც დაზოგა ძვირადღირებული ხის მასალა, გაახანგრძლივა გვირაბების სიცოცხლე, საიმედო გახადა მეშახტის შრომა. ეს კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ხშირად განვიცდით ასეთი სამაგრების ნაკლებობას, დიდად უკმაყოფილო ვართ აგრეთვე ლითონის სამაგრის უხარისხობის გამო. მეტისმეტად გვიჭირს მისი ნაწილების ერთმანეთზე მირგება, ჭანჭიკების მოჭერა. ეს იმიტომ, რომ ბოლო ხანს ლითონის სამაგრს შინაურული წესით ამზადებენ. ვერ გავიგეთ, რატომ შეწყვიტეს ქარხანაში დამზადებული ლითონის სამაგრის ცენტრალიზებული შემოზიდვა. ეს კარგი წესი კვლავ უნდა აღადგინოს გაერთიანება „საქნახშირის" ტექნიკური მომარაგების მუშაკებმა.

მეტი ქვანახშირის მონგრევა საქმის ერთი მხარეა, მისი მიწის ზედაპირზე შეუფერხებელი ამოზიდვა — მეორე. სწორედ ეს მეორე მხარე არ არის სათანადოდ მოგვარებული. მიზეზი სავაგონო პარკის ცუდ მუშაობაში უნდა ვეძიოთ. საშახტო ვაგონეტებს თავის დროზე არ უკეთებენ საგეგმო რემონტს, რის გამოც ისინი ნაადრევად გამოდიან მწყობრიდან, არ გვყოფნის სათადარიგო ნაწილები. საწარმოს ამ ვიწრო ადგილს დროულად მიხედვა სჭირდება, სავაგონო პარკი რაც შეიძლება მალე უნდა შეივსოს ვარგისი ვაგონებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთან მცირე მექანიზაციის საქმე კარგად იყო დაყენებული. მონორელსების საშუალებით თითქმის ყველა დამხმარე მასალა — ხის ბიძგები, ლითონის სამაგრი რკინის ღარები, მომხვეტი კონვეიერის სათადარიგო ნაწილები მიგვქონდა სანგრევში. უბნის ახალ ამოსაღებ სამთო ველში გადასვლის შემდეგ კი მონორელსების დამონტაჟებაზე არავინ იზრუნა. ახლა ყველა ეს შრომატევადი სამუშაო ადამიანის კუნთებს აქვს დაკისრებული, რაც დიდ გავლენას ახდენს მუშის შრომის ნაყოფიერების და ეფექტიურობის ამაღლებაზე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის მოგვარება, ჩემი აზრით, დაყოვნებას ვერ ითმენს. შახტს დაქვემდებარებული ქვანახშირის მამდიდრებელი ფაბრიკა მეტისმეტად მოძველდა. მისი აგრეგატები ველარ აუდიან მონგრეული ქვანახშირის გადამუშავება-გამდიდრებას. დიდი ხანია დადგა მისი მთლიანი რეკონსტრუქციის ან ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკის აშენების საკითხი.

ბოლო დროს სერიოზულად გვაწუხებს კვალიფიციური ამფეთქებლების სიმცირე. ახლა ყოველ ორ საექსპლოატაციო უბანს მხოლოდ ერთი ამფეთქებელი ემსახურება. მან 6 საათის განმავლობაში 4-5 სანგრევი უნდა ააფეთქოს, რაც მეტად საძნელო საქმეა. ხშირად სანგრევი მზად გვაქვს, მაგრამ საათობით ველოდებით ამფეთქებელს. იკარგება ძვირფასი დრო, რაც გავლენას ახდენს ქვანახშირის ამოღებაზე, საგეგმო დავალებისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

დარწმუნებული ვართ, რომ შევძლებთ ყველა დაბრკოლების გადალახვას, წარმატებით დავამთავრებთ ახალი ხუთწლედის მეორე წლის მაღალ მიჯნას და სამშობლოს ახალი შრომითი მიღწევებით გავახარებთ.

თ. სახელაშვილი,
ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენოსანი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაამთავრა რუსეთის სფს რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

დეპუტატებმა დაამთავრეს კამათი რუსეთის სფს რესპუბლიკის სოფლებში ბინების, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობისა და პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც გათვალისწინებულია 1982-1990 წლებში განხორციელდეს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური ღონისძიებანი.

შემდეგ მოხსენება „ატმოსფერული ჰაერის დაცვისა" და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ" რუსეთის სფს რესპუბლიკის კანონების პროექტების შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარემ ტ. ს. სუშკოვმა. ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ფართო მოქცევის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების, ქალაქებისა და სოფლების ინტენსიური ზრდის პირობებში, აღინიშნა მოხსენებაში, საჭიროა გაძლიერებული ყურადღება ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს დცვისადმი, რომლებიც გარემოს დიდმნიშვნელოვანი კომპონენტებია. კანონების პროექტებში განსაზღვრულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ამოცანები ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის დარგში, რომელთა გადასაწყვეტად საბჭოებს ფართო უფლებამოსილებას ანიჭებენ. ამ კანონების მიღება შესაძლებლობას შექმნის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების საქმე, ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას ბუნების დაცვის დარგში, ბუნებისადმი მზრუნველი, სათუთი დამოკიდებულების სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდას.

განხილვის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რუსეთის სფს რესპუბლიკის კანონები „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" და „ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ", აგრეთვე დადგენილებანი ამ კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ხ. პ. ნეშკოვის მოხსენების საფუძველზე სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები. (საკდესი).

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საგზურით

რეპორტაჟი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების კურსდამთავრებულთა IX რესპუბლიკური შეკრებიდან

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საბჭოთა კავშირის გმირი მუშათა კლასის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების ერთგულების ფიცი გაისმა. იგი დადეს ახალგაზრდა მუშებმა — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების კურსდამთავრებულთა IX რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დიპლომიანი 36 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი შეემატა წელს რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის რიგებს, რესპუბლიკის დედაქალაქმა დიდ ცხოვრებაში გულითადად, მამობრივად დაულოცა გზა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 1982 წლის კურსდამთავრებულებს.

რესპუბლიკის უდიდეს მშენებლობებზე — ქინვალჰესისა და ხუდონჰესის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ტრანსკავკასიის საავტომობილო მაგისტრალის, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის, სოფლად მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობებზე დაიწყება ახალგაზრდა მუშათა შრომითი ბიოგრაფია. სადიპლომო პრაქტიკის დროს მათ კარგი პროფესიული მომზადება და ცოდნა გამოავლინეს, ისინი მშენებლობებზე გაგზავნეს მათი ხელმძღვანელების თხოვნით.

ღრმად სიმბოლურია, რომ სამუშაო ადგილებზე საგზურები ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მიიღეს თავიანთი დამრიგებლებისაგან — სოციალისტური შრომის გმირების ვ. ქემაშვილის, ე. სოლომონიას, მ. ბიგვავას, შ. ფირცხალავასა და საქართველოს სხვა წარჩინებული აღმზრდელი მუშებისაგან.

პირველად რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დიდი ჯგუფი მიემგზავრება ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე.

... საზეიმოდ მორთავეთ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. ყველგან ყვავილები და ტრანსპარანტებია.

შეკრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ზ. ბარსუკოვი, ა. ზედგინიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, მინისტრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, წარჩინებული მუშები და სოფლის მეურნეობის მშრომელები, საწარმოო სწავლების პედაგოგები და ოსტატები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სწავლის ფრიადოსნები, ამურის ოლქის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა დელეგაცია, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

შეკრება გახსნა და მის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. რიგვავა.

ტრიბუნაზეა ამხ. გ. ენუქიძე. იგი ახალგაზრდა მუშათა ახალ რაზმს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

ამხანაგმა ენუქიძემ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების აღმზრდელებს უსურვა წარმატებანი მუშაობაში, აღნიშნა, თუ რა მზარდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, შეეხო ამოცანებს, რომლებიც სისტემამ უნდა გადაწყვიტოს მაღალი კვალიფიკაციის მუშათა სწავლებისა და პროფესიული მომზადების შემდგომი სრულყოფის დარგში.

კურსდამთავრებულებს გზა დაულოცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ, თბილისის № 6 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფირცხალავამ, ველისციხის № 13 სასოფლო საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ქვეყნის კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატმა მ. ქისეტაშვილმა, პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სარალიძემ, ამურის ოლქის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსმა ლ. ბობილევმა და სხვებმა.

სცენიდან გაისმის პატაკები სასწავლებელთა კოლექტივების მიღწევების შესახებ, რომლებიც ამზადებენ მუშებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სხვებისათვის.

დგება დღესასწაულის საზეიმო წუთი. ქალიშვილები და ჭაბუკები ფიცს დებენ, რომ თავდადებული შრომით ემსახურებიან სამშობლოს აყვავებას, შრომასა და სწავლაში მოპოვებული ახალი წარმატებებით განადიდებენ სოციალისტურ სამშობლოს.

(საქინფორმი).

პროფესიათა გზაჯვარედინზე

ქართველ მეტალურგთა სამჭედლო

აბიტურიენტებს ესაუბრება საქართველოს ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დეკანი

შევაჩეროთ გენოციდი!

მსოფლიო გმობს აგრესორსა და მის მფარველს

სტამბოლი. ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის მიზანია მოსპოს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, შეცვალოს რეგიონის პოლიტიკური რუკა, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას იორდანიის ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა ჰასანმა, რომელიც ვიზიტად იმყოფება თურქეთში. მან საჭიროდ ცნო, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს მთელი თავისი ჯარები ლიბანიდან და შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები.

ტახტის მემკვიდრე უფლისწულის თქმით, ისრაელის მიერ ლიბანის ოკუპაცია უშუალო საფრთხეს უქმნის ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს უშიშროებას.

მადრიდი. ესპანეთისა და ტუნისის მთავრობებმა მოითხოვეს ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივი და უთუო გაყვანა ლიბანიდან

აქ გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ესპანეთში დამთავრდა ტუნისის პრემიერ-მინისტრის მოჰამედ სალახ მზალის ვიზიტი. განცხადებაში ნათქვამია, რომ ორი ქვეყანა მხარს უჭერს ლიბანის ეროვნული ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას. ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ყოვლისმომცველი გადაწყვეტა მოითხოვს ცნონ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები — თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

პარიზი. საფრანგეთის პრესა განმარტავს საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანის განცხადებას, რომელიც მან უნგრეთში ამასწინანდელი ოფიციალური ვიზიტის დროს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. კერძოდ, ფ. მიტერანმა ლიბანის ამ-

რეპორტაჟი ლიბანის დედაქალაქიდან

ბარბაროსული დაბომბვა

ფოტოფაქტი

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქის მცხოვრებნი კიდევ დიდხანს ძრწოლით გაიხსენებენ დასავლეთ ბეირუთის უკანასკნელ გაათრებულ დაბომბვას, როცა

15 ივლისი

საერთაშორისო ცხოვრება ლელაჟიდის ზურგზე

საქართველოსა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

● საფრანგეთი

მადლობა საბჭოთა მთავრობას

პარიზი. სახელმწიფო მინისტრმა, სამეცნიერო კვლევისა და მრეწველობის მინისტრმა ჟ.-პ. შევენმანმა მიიღო საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული პირველი ფრანგი კოსმონავტი ჟან-ლუ კრეტიენი და მისი დუბლიორი პატრიკ ბოდრი.

კოსმონავტისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის ფრანგ მეცნიერთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე გამოსვლისას მინისტრმა განაცხადა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივ კოსმოსურ ფრენას ამ დარგში ორი ქვეყნის ტრადიციული თანამშრომლობის განმტკი-

მთავრობას, საბჭოთა მეცნიერებსა და კოსმონავტებს, რომლებმაც, როგორც მან აღნიშნა, ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერებისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში.

საფრანგეთს, — თქვა ჟ.-პ. შევენმანმა, დიდ სარგებლობას მოუტანს გამოცდილება, რომელიც შეძენილია ერთობლივი ფრენის მომზადებისა და განხორციელების დროს, რაც მას შესაძლებლობას მისცემს უფრო წარმატებით განავითაროს თავისი კოსმოსური პროგრამა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგე-

● ირან-ერაყი

ბრძოლები განახლდა

„ძალნია ჰოლნოტის" ფურცლებზე

დასავლეთის ინტრიგები განწირულია

თათბირ-სემინარი

დაჯილდოება

● ეთიოპია

ურჩევს მონაჩორი

მოკლედ

ქართველი ისტორიკოსები ემზადებიან სახელოვანი იუბილეებისათვის

სამარადისო მეგობრობა

მეცნიერები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადებაში. ისინი ღრმად განმარტავენ ხალხთა მეგობრობის დიად აღმშენებლობითს ძალას განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, რომელმაც უზრუნველყო თითოეული საბჭოთა სოციალისტური ერის ყოველმხრივ დაახლოება და აყვავება და სსრ კავშირის განმტკიცება, დამაჯერებლად აჩვენებენ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში საბჭოთა საქართველოს მიღწევებს. ამასთან ერთად მიმდინარეობს მზადება გეორგიევსკის ტრაქტატის, იმ ისტორიული აქტის მე-200 წლისთავისათვის, რომელმაც დაამოყვრა რუსი და ქართველი ხალხები და უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიულ ბედში.

ღირსშესანიშნავ თარიღებს ეძღვნება მთელი რიგი მეცნიერული შრომები, პუბლიკაციები, სამეცნიერო სესიები და სხვა ღონისძიებანი. საქინფორმის კორესპონდენტმა მ. ტრასკუნოვმა სთხოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ლენინური პრემიის ლაურეატს გ. ა. მელიქიშვილს ეამბნა იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ახლა ინსტიტუტი ეწევა.

— მიმდინარე წლის ოქტომბერში, — თქვა გიორგი მელიქიშვილმა, — მოვაწყობთ სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიას. გაიმართება აგრეთვე ეთნოგრაფთა რესპუბლიკური სესია, შემდეგ კი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა ფორუმი სხვა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის" მეოთხე ნომერი („ისტორიული მეცნიერების სერია") მთლიანად ეძღვნება ღირსშესანიშნავ თარიღს. გათვალისწინებულია მოეწყოს საკავშირო სკოლა-სემინარი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების საკითხებზე. ეწყობა მთელი რიგი გამსვლელი სამეცნიერო სესიები რესპუბლიკის რაიონებში.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა პუბლიკაციებში. მაგალითად, ჩვენი მეცნიერების კვლევის შედეგები აისახება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალების კოლექტიურ შრომაში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრებისათვის (ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მაგალითით)", აგრეთვე დოკუმენტების კრებულში — „საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურული მშენებლობა 1932-40 წლებში", რომელსაც გამოსცემს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო.

მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება" გამოუშვებს ბროშურების სერიას საიუბილეო თემატიკაზე. მათ შორისაა პროფესორ ი. ჩიქავას — „სსრ კავშირის შექმნა", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ჯიჭიას — „ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების განხორციელება", ე. კუპატაძის — „[სსრ] კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ისტორია" და სხვ.

ქართველი ისტორიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის — 1783 წლის ივლისში გეორგიევსკში რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატად" წოდებული ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობის განმარტებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის შრომაში განხილულია რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული შედეგების საკითხი.

დასაბეჭდად მზადდება პროფესორ გ. პაიჭაძის შრომები „გეორგიევსკის ტრაქტატი" და გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტი.

1983 წელს გამოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ც. კალანდაძის მონოგრაფია „საქართველოს მონაწილეობა რუსეთის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შ. ხანთაძის „რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიოგრაფია". პროფესორ ა. იოსელიანის შრომა შეიცავს ნარკვევებსა და დოკუმენტებს, რომლებიც ეძღვნება XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების ძირითად ეტაპებს. პროფესორი ი. კაჭარავა აშუქებს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიულ მნიშვნელობას. დასაბეჭდადაა მომზადებული აგრეთვე შრომები ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატების ქ. ჩხატარაშვილისა — „გურიის შეერთება რუსეთთან", ზ. ცქიტიშვილისა — „გარსევან ჭავჭავაძე (საქართველოს ელჩი რუსეთის მეფის კარზე)", ზ. დიდებულიძისა — „საქართველოს კულტურული ურთიერთობა ცენტრალური კავკასიის ხალხებთან". გამოვა ანგარიში იმდროინდელი თვალსაჩინო მოღვაწის რეინეგსის მოგზაურობისა და ერეკლე მეორის კარზე მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მოამზადა გ. გელაშვილმა.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს ეძღვნება ჟურნალ „მაცნეს" სპეციალური ნომერი, ისტორიკოსთა მთელი რიგი სტატიები პერიოდულ გამოცემებში, კრებულებში, ჟურნალ-გაზეთებში. გათვალისწინებულია პარტიის რაიკომებთან ერთად მოეწყოს სამეცნიერო სესიები რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, აგრეთვე გეორგიევსკში, სადაც დაიდო ხელშეკრულება.

ისტორიის გაკვეთილები მოწმობს, რომ ჩვენი ძალა, ჩვენი წარმატებანი, ჩვენი მომავალია დიდ რუს ხალხთან, მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ხალხთან მეგობრობა და ძმობა. და იმის საფუძველი, რომ საბჭოთა საქართველო — სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო — ამჟამად დიდად განვითარებული ეკონომიკის, მოწინავე კულტურისა და განათლების მქონე რესპუბლიკაა, რომელსაც ღირსეული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებს შორის, არის რუს ხალხთან სამუდამო კავშირი და ძმობა, ჩვენი ლენინური პარტიის მიერ გამოჭედილი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობა, მათი თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულება.

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

მუსიკალური სუვენირები საქართველოდან

ათასწლეულების მანძილზე ხალხის მიერ შექმნილი გულში ჩამწვდომი ქართული მელოდიები უძღვნეს გეორგიევსკის მშრომელებს საქართველოს მხატვრულმა კოლექტივებმა. მუსიკალური საჩუქარი მიართვეს მათ თავიანთ მეგობრებს — გეორგიევსკის მცხოვრებთ, სადაც 200 წლის წინათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანხმადაც საქართველო სამუდამოდ დაუკავშირდა თავის დიდ ჩრდილოელ მეზობელს — რუსეთს.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით მოწყობილი კონცერტების ციკლმა გახსნა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ კულტურულ ღონისძიებათა სერია. გეორგიევსკის დაარსების მე-200 წლისთავისათვის აშენებულ კულტურის სასახლეში გამართული სტუმრების გამოსვლა ამ მუსიკალური დღესასწაულის თავისებურ საზეიმო უვერტიურად იქცა. მსმენელებმა ტაშით დააჯილდოვეს კონცერტის მონაწილეები — ქალაქ ზუგდიდის მოცეკვავეთა ანსამბლი „ჩელა", თბილისის ლენინის რაიონის გოგონათა ვოკალური ანსამბლი „კოლხური", საქართველოს დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის ხალხური საკრავების კვარტეტი და 26 კომისრის სახელობის რაიონის მედუდუკეთა ანსამბლი, რესპუბლიკის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ვაჟთა ვოკალური კვარტეტი.

დაუვიწყარი უწოდა საქართველოს ძველ ხელოვნებასთან შეხვედრას გეორგიევსკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ თ. ხაჩიდაპიდოვამ. მან აღნიშნა, რომ ამ კონცერტებმა კიდევ უფრო გააღვივეს ინტერესი ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურისადმი.

ქართული კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა ოთარ გორდელმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სტუმართმოყვარე მასპინძლებს და მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის.

დიდი წარმატება ხვდათ გეორგიევსკის საწარმოებში გამართულ ქართველ მსახიობთა კონცერტებს. „უფრო ხშირად ჩამოდით ხოლმე ჩვენთან", — ასე გამოხატა ქალაქის ყველა წარმოების მუშაკის სურვილი ხორცკომბინატის კოლექტივმა.

გეორგიევსკში ქართული მუსიკის კონცერტები ჩვენთვის ღრმა აზრით აღსავსე დიდი მოვლენაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ო. გორდელმა. — ეს იყო რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის, ჩვენი სოციალისტური კულტურების სასიხარულო დღესასწაული. წარსულში ამ მეგობრობის მაუწყებელნი იყვნენ ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილები. ქართველი მსახიობების გამოსვლებმა კიდევ ერთი მკაფიო ფურცელი ჩაწერეს ძმობის, გულთა ურღვევი კავშირის სახელოვან მატიანეში. (საქინფორმი).

წესი, რიგი და ჩვენ

ხშირია შემთხვევა, როცა მოქალაქეები ზემდგომ ორგანოებსა და კონტროლის სხვადასხვა დაწესებულებას, გაზეთების რედაქციებს უგზავნიან განცხადებებს, დეპეშებს, რომლებშიც უჩივიან მართლმსაჯულების ორგანოებს, კერძოდ კი საგამოძიებო დარგის მუშაკებს. რა თქმა უნდა, ბევრი მომჩივნის პრეტენზია და საჩივარი უსაფუძვლოა, მაგრამ ბევრიც მთლად უმიზეზოდ როდი დასდგომია სამართლის ძიების გზას. არცთუ იშვიათად, ერთი რაღაც ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული უზუსტობა ან შეცდომა გაუთავებელი საჩივრების მიზეზი ხდება. ეს კი უმთავრესად ადმინისტრაციულ ორგანოებს ეხებათ. ეგრეთ წოდებული ეჭვისაღმძვრელი წვრილმანები ხშირად მითქმა-მოთქმის წყაროა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ირღვევა პროკურატურის, საგამოძიებო და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების ნათლად ჩამოყალიბებული განაწესი და რეგლამენტი, რომელთა დაუცველობას მრავალი გართულება, არევ-დარევა და გაუთავებელი საჩივრები მოსდევს. ასეთ შემთხვევებში ყველაზე მეტად ზარალდებიან მოქალაქეები და მათი გულშემატკივრები. ხშირად კი დამნაშავეს საბაბი ეძლევა ყველა ინსტანცია მიიაროს თავისი პრეტენზიებით.

რით არის გამოწვეული ეს?

უპირველეს ყოვლისა, გამომძიებელთა დაბალი კვალიფიკაციით, ზოგჯერ საგამოძიებო ორგანოების მუშაკების უპასუხისმგებლობით, ზერელობით, ზოგჯერ მიკერძოებითა და ანგარებითაც კი...

რამდენიმე წელიწადია ცოლ-ქმარი ლუბა და სულიკო მღებრიშვილები ჩივიან, რომ თბილისის ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწეებმა ვ. მასურაშვილმა და რ. მამალაძემ სწორად არ გამოიძიეს მათი შვილის ზურაბ მღებრიშვილის თბილისის ზღვაზე დახრჩობის ფაქტი.

რა არის გამოძიების მიმართ მღებრიშვილების უნდობლობის მიზეზი?

ლენინის რაიონის პროკურატურამ თბილისის ზღვაში ზ. მღებრიშვილის დახრჩობის ფაქტი სრულყოფილად არ გამოიძია, ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, თუ რატომ ბანაობდა ზ. მღებრიშვილი აკრძალულ ზონაში, ევალებოდა თუ არა თბილისის ზღვის მშველელ რაზმს თვალყური ედევნებინა ზღვის ამ მონაკვეთში მობანავეთათვის, ამასთან განმარტება არ ჩამოართვეს მღებრიშვილის მშობლებს იმის თაობაზე, თუ რა იცოდნენ მათ შვილის დახრჩობასთან დაკავშირებით, ზერელედ დაჰკითხეს ვ. ბითაროვსა და ნ. ჩერტკოვს.

როგორც ამ საქმის მასალებიდან ჩანს, ზ. მღებრიშვილის დახრჩობის დროს ტურბაზის წინ ვ. ბითაროვისა და ნ. ჩერტკოვის გარდა ზღვის ნაპირზე სხვებიც იყვნენ, მაგრამ გამოძიება ამით არ დაინტერესებულა. არც იმ მოტოციკლიანი მილიციელის ვინაობა დადგინდა, რომელმაც მაშველი სადგურის მუშაკებს უბედურების შემთხვევის ამბავი შეატყობინა.

ზ. მღებრიშვილი თბილისის ზღვაზე 1979 წლის 21 ივლისს დაიხრჩო. შედგა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი. მეორე დღეს დილით თბილისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა გაკვეთა გვამი, მაგრამ ამის თაობაზე შედგენილი აქტით გამოძიება არ დაინტერესებულა. ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ვ. მასურაშვილმა გვამის გაკვეთის აქტი მხოლოდ 6 აგვისტოს მოითხოვა, როცა სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელობის დადგენილებას წერდა. გამოძიებისათვის ეს სეპირო დოკუმენტი კი დამხრჩვალის მშობლებს ედოთ ჯიბეში (?!).

გამოძიების ზერელობას ისიც მოწმობს, რომ ხელმეორედ გამოძიებისას 1980 წლის 8 თებერვლის დადგენილებაში პროკურორის თანაშემწემ ვ. მასურაშვილმა ჩაწერა: „დადასტურებულია, რომ მღებრიშვილის სიკვდილში არავის არ მიუძღვის ბრალი და იგი 1979 წლის 19 აგვისტოს თბილისის ზღვაში დაიხრჩო ბანაობის დროს".

ამავე დადგენილებაში პროკურორის თანაშემწე იმასაც წერს, ზ. მღებრიშვილი 1979 წლის 21 ივლისს დაიხრჩოო.

ასეთმა თითქოსდა პატარა წვრილმანებმა, რომელთა შემჩნევას იურიდიული ცოდნაც არ სჭირდება, დააეჭვა მღებრიშვილები და საფუძველი მისცა საჩივრებით მიემართათ ზემდგომი ორგანოებისათვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, თითქოს აქ რაიმე ანგარება იმალებოდეს, გამოძიებამაც სამართლიანად მიიჩნია, რომ ამ საქმეში კრიმინალი არ იყო, მაგრამ ზემოხსენებულმა წვრილმანმა უზუსტობებმა პირისუფლებს მიკერძოების ეჭვი აღუძრა.

ჭეშმარიტება სადავო არ უნდა გახდეს...

ლენინის რაიონის პროკურატურა თავიდანვე მეტი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდა შემთხვევის გამოძიებას და ნაადრევად არ გამოეტანა დადგენილება სისხლის სამართლის აღუძვრელობის შესახებ, მაშინ მღებრიშვილები ამდენს აღარ იდავებდნენ.

დღითი დღე მატულობს საავტომობილო ტრანსპორტი, ჩვენს რესპუბლიკაში ავტომობილთა რიცხვმა თითქმის ნახევარ მილიონს მიაღწია. ნაწილობრივ ესეც არის იმის მიზეზი, რომ გახშირდა ავტოავარიები, რომელთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძვიან ავტოინსპექცია და ადმინისტრაციული ორგანოები, მაგრამ ყოველთვის როდი ხდება შესაძლებელი ჭეშმარიტი დამნაშავის დადგენა. ამაში ზოგჯერ თვით ავტოინსპექციის მუშაკები და გამომძიებლებიც სცოდავენ, მართალს ამტყუნებენ და მტყუანს ამართლებენ.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს ნიკოლოზ მათეშვილს, რომელიც საკუთარი „ზაპოროჟეცით" მეუღლესთან ერთად ლაგოდეხში მიემგზავრებოდა, თვითსაცლელი ავტომანქანა დაეჯახა. ავარიის შედეგად მანქანა დაილეწა, ცოლს თავის ტვინის შერყევა მოუვიდა, ხოლო თვითონ ნ. მათეშვილს ფეხი მოტყდა. ცოლ-ქმარი მოათავსეს ლაგოდეხის საავადმყოფოში, სადაც თვეზე მეტხანს იწვნენ. თუმცა ლაგოდეხის შინაგან საქმეთა განყოფილება და ავტოინსპექცია საავადმყოფოდან ერთ კილომეტრზე მდებარეობენ, დაზარალებულების დასაკითხავად თავი არავის შეუწუხებია და საქმისთვისაც მსვლელობა არ მიუციათ.

ავტოავარიის თაობაზე ნ. მათეშვილმა საჩივრები გამოუგზავნა „კომუნისტის" რედაქციას და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელშიც ამხელს ლაგოდეხის შინაგან საქმეთა განყოფილების ზოგიერთი თანამშრომლისა და, კერძოდ, რაიონის ავტოსაგზაო ზედამხედველობის უფროსი ავტოინსპექტორის თ. ჯოხაძისა და მისი მოადგილის გ. ლეკიშვილის უღირს საქციელს.

ამ ფაქტზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ანალოგიური მაგალითები ხშირია და ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი უღირსი თანამშრომელი სხვის უბედურებაზე ხელს ითბობს.

ხუთ წელიწადზე მეტია საგამოძიებო ორგანოები იძიებენ 1977 წლის 5 ოქტომბერს სოფელ ქალადიდთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას. შუადღისას ქვეით მურმან მოდებაძეს დაეჯახა „ჟიგული" და დაასახიჩრა. წინასწარ გამოძიებას ჯერ ფოთის, შემდეგ კი ხობის შინაგან საქმეთა განყოფილებები აწარმოებდნენ, სისხლის სამართლის ეს საქმე ექვსჯერ შეწყვიტეს და აღადგინეს, მრავალი მოწმეც დაკითხეს, თითქოს დამნაშავის კვალსაც მიაგნეს, მაგრამ საქმეს მაინც უჩინმაჩინის ქუდი დახურეს...

საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ინსტანცია, რომ საჩივრით არ მიემართოს მ. მოდებაძის დედას. იმედია, საგამოძიებო ორგანოები საბოლოოდ მოჰფენენ ნათელს ამ ერთობ გაჭიანურებულ სისხლის სამართლის საქმეს.

ამ ორი წლის წინათ სოხუმში შევჩენკოს ქუჩაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა: ს. ლომიძის ავტომობილს საკუთარი „ზაპოროჟეცი" დაეჯახა ს. იარაღით. ავტოინსპექტორმა ი. ავთანდილოვმა ადგილზე შეადგინა ავტოსაგზაო შემთხვევის ოქმი, თითქოს იქვე გაარკვია, თუ ვინ იყო დამნაშავე, მაგრამ შემდეგ საქმე შეტრიალდა...

დაზარალებულმა ს. ლომიძემ განცხადებით მიმართა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქმის გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ ძიებით უკმაყოფილო ს. ლომიძემ საჩივრები სხვა ზემდგომ ორგანოებში აფრინა, საქმეში აფხაზეთის ასსრ პროკურატურა ჩაერია და მომჩივანს მისწერა, მართალი ხარო.

თუ მართალი ვარ, რატომ ზარალი არ ამინაზღაურეს და დამნაშავე არ დასაჯესო, ჩივის ს. ლომიძე.

ამაზე პასუხს ალბათ შესაბამისი ორგანოები გაგვცემენ.

ავტომობილების ქურდობამ და გატაცებამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ კანონმდებელმა კანონიც კი გაამკაცრა და ქურდები ახლა სამაგალითოდ ისჯებიან.

შარშან იანვარში დ. ჯინჭარაძეს „ჟიგული" მოჰპარეს. ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა გ. ცქიმანაურმა ეს საქმე ისე უხეიროდ და ზერელედ გამოიძია, რომ რაიონისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოებმა იგი რამდენჯერმე დაუბრუნეს გამოძიებას. დღეისათვის ეს სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ დამთავრებული არ არის და, რა თქმა უნდა, სამართალში მიცემული ფ. ჯოხაძის მშობლებიც არ აპირებენ საჩივრების წერის შეწყვეტას.

ნუთუ წელიწადზე მეტი უნდა გაჭიანურებულიყო, ერთი შეხედვით, ასეთი მარტივი საქმე? ხომ არიან მოწმეები, ხომ არიან ეჭვმიტანილებიც, რომლებიც ანალოგიური დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში წინათაც იყვნენ მიცემული?

ამ წერილის მიზანი სულაც არ არის ის, რომ დავადგინოთ მტყუან-მართალი, ამაზე, ალბათ, სათანადო ორგანოები იმსჯელებენ და ჯეროვან ღონისძიებებსაც განახორციელებენ, მაგრამ ის კი უნდა დავძინოთ, რომ ინსტანციიდან ინსტანციაში საჩივრებისა და განცხადებების გზავნას მხოლოდ მაშინ გადავუღობავთ გზას, თუ მომჩივანსა და მოპასუხეს გულისხმიერად მოვეპყრობით, თუ მათ თავიდანვე გულმოდგინედ, ნათლად განვუმარტავთ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობას, ადამიანებს დავარწმუნებთ სამართალდამცველი ორგანოების კანონიერ მოქმედებაში.

გ. ბახტურიძე.

უდიპლომო რძალი

სცენები უდიპლომო რძლის, აბორტის, ოჯახის დარღვევის, ყალბი ატესტატისა და ქრთამის აღება-მიცემის შესახებ

იყო მთვარიანი ღამეების თეთრად გათენება, ალერსიც, ერთგულების ფიციც. და 1981 წლის 12 მარტს მაგდანა ბედუკიძე ცოლად გაჰყვა ზაურ ღვინჯილიას. ცოტა ხნის შემდეგ დედამთილმა ლილი ღვინჯილიამ განაცხადა, ჩემს რძალს დიპლომი უნდა ჰქონდეს, უდიპლომო რძალი რად მინდაო, და ჟორჟი ბედუკიძეს თითქმის უბრძანა: მძახალო, თქვენი ქალიშვილის საშუალო განათლების ატესტატი მომგვარე, სწავლა უნდა გავაგრძელებინოო...

რაც არა ჰქონდათ, რას მიიტანდნენ, — მაგდანამ რვა კლასი ძლივს დაამთავრა. ლილი ღვინჯილიას წაქეზებით ჟორჟი ბედუკიძემ ქალიშვილისათვის ყალბი ატესტატის ძებნა დაიწყო. აქეთ-იქით მიდგა-მოდგა, და აღმოაჩინა კიდეც ყალბის მქნელი.

ეს იყო ჩხოროწყუს საღამოს დაუსწრებელი სწავლების საშუალო სკოლის დირექტორი ვახტანგ ბერია. მას ჟ. ბედუკიძემ სთხოვა ატესტატი შვილისათვის და გასამრჯელოსაც შეჰპირდა. 1981 წლის 26 ივნისს სკოლის ვაი-დირექტორმა ჟ. ბედუკიძეს გადასცა ყალბი ატესტატი „ც. № 208115" მაგდანა ბედუკიძის სახელზე. ხელმა ხელი დაბანა, ორივემ — პირიო, და ამ სიყალბისათვის ვ. ბერიამ ჟ. ბედუკიძისაგან ქრთამად 300 მანეთი მიიღო.

ამ სცენას ისიც ავსებს, რომ ლილი ღვინჯილიამ ხელში ჩაიგდო რძლის ატესტატი, თუმცა ყალბი, მაგრამ მაინც საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, ვიდრე მას გამოიყენებდნენ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მაგდანა ბედუკიძე და ზაურ ღვინჯილია სერიოზულად წაიჩხუბნენ, რასაც საბაბი მისცა იმ ფაქტმა, რომ ისინი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იყვნენ. ამ „არარეგისტრირებულ ქორწინებას" კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეგნებულად მიმართა ზაურ ღვინჯილიამ. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი და დედამისი ლილი ღვინჯილია შორს დგანან ზნეობრივი სიწმინდისაგან. მათთვის არაფერსაც არ ნიშნავს სხვისი მორალური უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

ერთი სიტყვით, ეს სცენა იმით მთავრდება, რომ მაგდანა ბედუკიძე იძულებული ხდება დატოვოს ქმრის ოჯახი და მშობლებთან ბრუნდება ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოში.

* * *

მაგდანა ბედუკიძეს მოთმინების ფიალა აევსო. რატომ უნდა აპატიოს იმათ, ვინც მისი იმედები დაამსხვრია, ღელის ბედნიერება წაართვა, უმანკოება ულმობლად გაუთელა და სახელი გაუტეხა? დიახ, არ უნდა აპატიოს! და მაგდანამ განცხადებით მიმართა ცხაკაიას რაიონის პროკურატურას: მე ვიყავი ორსული, აბორტისათვის წამაქეზეს მეუღლემ ზაურ ღვინჯილიამ და მისი ოჯახის სხვა წევრებმა. აბორტი უკანონოდ გამიკეთა დოდო ფოჩხუამ, — წერდა იგი.

1981 წლის 27 აგვისტოს ცხაკაიას რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ყალბი ატესტატის დამზადების, ამისათვის ქრთამის მიცემისა და აღების შესახებ, რომელსაც გამომძიებელი მ. სჯაია იძიებდა. ამ დანაშაულის ჩადენაში მხილებული იყვნენ ჩხოროწყუს საღამოს დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ა. ბერია და სოფელ ნაფიჩხოვოს მცხოვრები ჟ. ა. ბედუკიძე.

* * *

ჩხოროწყუს რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გამსვლელი სხდომა. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ა. სულავა წარმართავს. დაიკითხა ორი განსასჯელი, 19 მოწმე, შეჯერდა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების მასალები.

1982 წლის 4 ივნისს გამოტანილ განაჩენში ჩაიწერა: ვ. ა. ბერიას მიესაჯოს 9 წლის თავისუფლების აღკვეთა, პირადი ქონების კონფისკაციით, გადასახლების გარეშე, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით ჩამოერთვას განათლების სისტემაში მუშაობის უფლება. ვ. ა. ბერიას გადახდეს ქრთამად მიღებული 300 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ჟ. ა. ბედუკიძე (ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯოს ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

მეოთხე სცენიდან სამსჯავრო სხდომაზე დამსწრეებმა მოისმინეს სასამართლო კოლეგიის განჩინება გ. ი. პაპავას შესახებ, რომელიც ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს საკონსულტაციო პუნქტის გამგე და ამავე სოფლის საშუალო სკოლის დირექტორია. მან ხელი მოაწერა ვ. ა. ბერიას მიერ ყალბად შედგენილ დოკუმენტებზე, რითაც ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა. ამას კი განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. განჩინება მოითხოვს, რომ გ. ი. პაპავას მიმართ აღიძრას საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით (განჩინება სათანადო გამოძიებისათვის გადაეგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას). აგრეთვე მოისმინეს კერძო განჩინებები, რომლებიც მიუთითებს, რომ ჩხოროწყუს რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება არ აკონტროლებს სკოლებში საშუალო განათლების ატესტატების გაცემის საქმეს, რომ ცხაკაიას სამშობიარო სახლში სათანადო კონტროლი არ ეწევა ექიმის დანიშნულებით ავადმყოფთა მოვლასა და მკურნალობას, რამაც ექთან დ. ა. ფოჩხუას საშუალება მისცა ფეხმძიმე ქალებს ნემსები უკეთოს ექიმის დანიშნულების გარეშე, რაც დაუშვებელია (ეს კერძო განჩინებანი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სათანადო ორგანიზაციებსა და უწყებებს).

განაჩენში და კერძო განჩინებებში სამართლიანად არის მითითებული, რომ ჩხოროწყუს რაიონის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველთვის არ მიმართავენ საჭირო ზომებს „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად.

და, ბოლოს, უნდა ითქვას, რომ სამსჯავრო გამოძიებამ გამოავლინა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. აღიძრა კითხვები: რატომ მოითხოვა დედამთილმა დიპლომიანი რძალი და ამასთან დაკავშირებით, რატომ უბიძგა მძახალს ეშოვა ყალბი ატესტატი? რატომ აიძულეს მეუღლემ და მისი ოჯახის წევრებმა რძალი „მოეცილებინა ნაყოფი", მერე კი კინწისკვრით გააგდეს სახლიდან? რატომ ვერ ამჩნევდნენ მორალური და ზნეობრივი ნორმების ამ უხეშ დარღვევებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები?

ს. ჟურაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი.

გაიტაცეს, გაქურდეს, მაგრამ...

სასამართლო დარბაზიდან

რის ვაი-ვაგლახით დაამთავრა რვა კლასი ევგენი მიხეილის ძე ფომუშკინმა. სწავლას გული ვერ დაუდო, მაგრამ არც მუშაობით შეუწუხებია თავი.

ერთ საღამოს ევგენი ფომუშკინი შეხვდა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ლილოს საშენ მასალათა კომბინატის მუშებს იური მიხეილის ძე ტანანაევს და სერგი თევდორეს ძე გორობეცს. ნაცნობ-მეგობრები მოკითხვითა და პირზე კოცნით შევიდნენ სასაუზმეში და გვარიანად გამოთვრნენ. ე. ფომუშკინი იქვე მოელაპარაკა ძმაკაცებს, რომ მოეპარათ ავტომანქანა და გაექურდათ.

„საქნავთობის" დასახლებაში ვაჟა კეკენაძის სახლთან „ჟიგული" იდგა. ღამის ორი საათი იყო, კაციშვილი არ ჩანდა. ე. ფომუშკინმა ტექნიკური ხერხის გამოყენებით გააღო „ჟიგულის" კარი, სამივენი ჩასხდნენ ავტომობილში, ელექტროსადენების მოკლე ჩართვით აამუშავეს ძრავა და მანქანა გასაქურდად გააქროლეს ლოჭინის დასახლებისაკენ. მანქანას მოხსნეს მაგნიტოფონი ხმის ორი გამაძლიერებლით, უკანა ხედვის ორი სარკე, წინა მინის საწმენდები, სათადარიგო საბურავი დისკოიანად, „დომკრატი", საბურავის გასაბერი ტუმბო და ხელსაწყოების კომპლექტი.

ქურდებმა მოპარული ნივთები მიაბარეს ლოჭინის დასახლებაში მცხოვრებ ე. ფომუშკინის ღვიძლმშვილს ალექსანდრე ფარსმანიშვილს. სამივე ქურდი გატაცებული ავტომანქანით თბილისში დაბრუნდა. დილის ცხრა საათზე ავჭალის გზატკეცილზე ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორებმა შენიშნეს საეჭვო „ჟიგული" და გაჩერების სიგნალი მისცეს. მანქანამ უფრო მოუმატა სიჩქარეს, ავტოინსპექტორები მოტოციკლით დაედევნენ.

ქურდებმა შორს წასვლა ვერ შეძლეს. ე. ფომუშკინი და ი. ტანანაევი დააკავეს, ხოლო ს. გორობეცმა თავს გაქცევით უშველა, მაგრამ სად უნდა დამალულიყო, და ორი დღის შემდეგ მილიციაში თავის ფეხით გამოცხადდა.

ქურდები საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლის მეორე ნაწილით გაასამართლა. პროცესზე ისინი ბოლომდე არ იყვნენ გულწრფელნი, თავს ნაწილობრივ ცნობდნენ დამნაშავედ და საბოლოო სიტყვაში სასჯელის შემსუბუქებას მორთხოვდნენ. სასამართლომ ევგენი მიხეილის ძე ფომუშკინს ხუთი წლის ვადით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ხოლო იური მიხეილის ძე ტანანაევს და სერგი თევდორეს ძე გორობეცს თითოეულს ოთხი წლისა და ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის შრომა გასწორების კოლონიაში მოხდით.

განაჩენის პირები კოლექტიური განხილვისა და რეაგირებისათვის გაეგზავნა ლილოს საშენ მასალათა კომბინატს, სადაც დაპატიმრებამდე მუშაობდნენ ი. ტანანაევი და ს. გორობეცი.

გ. ლელაძე.

ნარკომანი დაისაჯა

გადაცდომა თუ შეგნებული დანაშაული?

ეს ამბავი ამ ექვსიოდე წლის წინათ დაიწყო, და იგი სავალალო შედეგით დამთავრდა.

შამილ რეზესიძე დანით დაჭრეს ზურგში. საავადმყოფოში მკურნალობისას ოთხი თვის მანძილზე საშინელი ტკივილები აწუხებდა. ექიმის მიერ დანიშნული გამაყუჩებელი საშუალებანი ბევრს არაფერს შველოდა. მაშინ შამილის გვერდით მწოლიარე ახალგაზრდამ ნარკოტიკული საშუალება მიაწოდა.. ასე გახდა იგი ნარკომანი.

გავიდა დრო. ჭრილობა შეუხორცდა. შ. რეზესიძემ მუშაობა დაიწყო პასუხსაგებ უბანზე (მილიციის ორგანოებში), მაგრამ საშინელი სენით დაავადებული — ყველასგან ჩუმად ღებულობდა თვითნამზად საწამლავს. მან იცოდა, რომ ნარკომანია ადამიანის უბოროტესი მტერია, იცოდა, და მაინც დაუკავშირდა ამ მტერს თავისი ნებით.

ისიც აღსანიშნავია, რომ შ. რეზესიძეს თვით სამსახურებრივი მდგომარეობა უკარნახებდა აუცილებლად გაეცნობოდა სანიმუშო ლექციას თემაზე „ნარკომანია და მასთან ბრძოლა". ამ ლექციის გაცნობისას თითოეულ ადამიანს ერთხელ კიდევ ჩაებეჭდება გულში, რომ დანაშაულის სუბიექტური მხარე მოიცავს პირდაპირ განზრახვას, ანუ, ამ შემთხვევაში, დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების შედეგებს შინაარსი და მას სურს ამ შედეგების დადგომა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვა ფაქტობრივად ნიშნავს მათს მფლობელობას, რაც დასჯადი ქმედობაა.

დიახ, ეს ყველაფერი იცოდა პასუხსაგებ ადგილას მომუშავე შ. რეზესიძემ, და მაინც როგორც პირადი, ისე ბინის ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, მერე კი განსასჯელის დაკითხვის ოქმში მან გამომძიებელს ჩააწერინა „წამოყენებულ ბრალდებაში თავს მთლიანად ვცნობ დამნაშავედ. ნარკოტიკული ნივთიერებები ჩხრეკის დროს შარვლის ჯიბეშიც აღმოაჩნდა და სახლშიც, სადაც ვცხოვრობ". პროკურორის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ ალსარებაში იგი წერდა: „საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მირჩიეს, მიმეღო ნარკოტიკული ნივთიერება"...

52 წელს გადაცილებულ შ. რეზესიძის ეს სამწუხარო თავგადასავალი ჩვენ შევიტყვეთ სისხლის სამართლის საქმიდან, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის კოდექსის 252-ე მუხლის მესამე ნაწილით სამსჯავრო სხდომაზე განიხილა ფოთის სახალხო სასამართლომ. შეგნებული დანაშაულის ჩადენს, ნარკომან შ. რეზესიძეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლის ვადით, აგრეთვე დაენიშნა იძულებითი მკურნალობა, როგორც ნარკომანს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს სასჯელი დაენიშნა კანონის სრული შესაბამისობით, მან და მისმა დამცველმა კასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა, ხოლო საკასაციო საჩივარი უარყო, როგორც უსაფუძვლო.

ს. მახვილაძე.

ჩვენ:

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მიმდინარე წლის ექვს თვეში რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში ძვრები შეიმჩნეოდა. დანაშაულობათა რიცხვი შემცირდა თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრის რაიონებში; ქალაქებში წყალტუბოში, სოხუმსა და ბათუმში; ცხაკაიას, წალენჯიხის, ხობის, წითელწყაროს და სხვა რაიონებში, მაგრამ ყველა ქალაქისა და რაიონის საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა როდი იმუშავა ერთნაირად.

რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მოდუნების შედეგად გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა სტატისტიკა, რამდენადმე გართულდა ოპერატიული ვითარება.

ასეთთა რიცხვს განეკუთვნება შემდეგი ქალაქები და რაიონები: **ბაგრა** (საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — დ. დოლონაძე, პროკურორი — ი. გადაღაძე, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი — ჯ. რაფავა), **ტყვარჩელი** (საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ნ. ხარბედია, პროკურორი — ვ. გურჯუა, შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი — ი. ფილია), **მცხეთა** (რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — თ. პეტრიაშვილი, პროკურორი — მ. კუხალაშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი — ა. ორთოლაშვილი), **წალკა** (რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — დ. საბაძე, პროკურორი — ს. ბუდალოვი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი — თ. მაჩაიძე), **ახმეტა** (რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ა. ბასაჯიშვილი, პროკურორი — კ. სარაჯიშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი — ა. პაპიაშვილი), **ლენტეხი** (რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — დ. ტვილდიანი, პროკურორი — ზ. ბაკურაძე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი — შ. ონიანი), **თეთრი წყარო** (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — მ. დალაქიშვილი, პროკურორი — ვ. წიკლაური, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი — გ. ბერიანიძე), **ყვარელი** (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — მ. კოკორაშვილი, პროკურორი — ა. მამულაშვილი), **ჩოხატაური** (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ს. ცინცაძე, პროკურორი — ვ. ნიკოლაიშვილი, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი — ა. ჯიბლაძე).

ამ ქალაქებისა და რაიონების აღნიშნულმა ხელმძღვანელებმა ღრმად და ყოველმხრივ უნდა გააანალიზონ შექმნილი მდგომარეობა, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით განსაზღვრონ პროფილაქტიკური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი, მეტი ოპერატიულობა გამოიჩინონ მართლწესრიგის დამრღვევთა გამოვლენისა და მხილების საქმეში.

ნისიაც დანაშაულია

ონი. (საკ. კორ.). ჭიორის შერეული მაღაზიის გამგე-გამყიდველი კარლო არჩილის ძე რეხვიაშვილი ათი წლის მანძილზე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ დუქანში. იგი მეზობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს სახელმწიფო ქონებას ნისიად აძლევდა, მთხოვნელს ნავაჭრი თანხის სესხებაზე უარს არეუბნებოდა. ამას წინათ მოულოდნელი შემოწმებისას დახლიდარს ნისიად გაცემული აღმოაჩნდა 6 227 მანეთის საქონელი.

ასეთი თვითნებობა გამყიდველს, რა თქმა უნდა, დანაშაულად ჩაუთვალეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. კ. რეხვიაშვილს სახალხო სასამართლომ 2 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

გამყიდველმაც და მყიდველმაც უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ სავაჭრო ობიექტებში ნისიაც დანაშაულია.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ჩოხატაური

გვატყობინებს „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ბორის ძნელაძის ბიუსტი

სოფელ ბურნათში, საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის სახლ-მუზეუმში, მრავალი საინტერესო ექსპონატია დაცული. ეზოში დაიდგა ძნელაძის ბიუსტი. აქ ხშირად ნახავთ ექსკურსანტებს, რომლებიც გვირგვინებით ამკობენ კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის ბიუსტს.

უნგრეთსა და რუმინეთში

ჩოხატაურის სასურსათო კომბინატი ათობით სახეობის ძვირფას პროდუქციას უშვებს. ახლახან აქ აითვისეს და გამოუშვეს 500 ათასი პირობითი ქილა მსხლისა და მანდარინის სახშელი. კომბინატელთა ნახელავი დიდად მოსწონთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რესპუბლიკაში. სასურსათო კომბინატის მიერ გამოშვებული 80 ათასი პირობითი ქილა ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია გაიგზავნა უნგრეთსა და რუმინეთში.

ახალმოსახლეობა იზეიმეს

დღითი დღე იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩოხატაურის რაიონული ცენტრი. ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა. ახალ ბინებში ახალმოსახლეობა იზეიმეს დაბის წარმოება-დაწესებულებების მუშაკთა ოჯახებმა.

ჩაის ბუჩქი 134 წლისაა

1848 წლის გაზაფხულზე ცნობილმა აგრონომმა მიხეილ ერისთავმა გურიაში პირველად შემოიტანა ჩაის ბუჩქი და სოფელ გორა-ბერეჟოულის გორაზე დარგო. მას შემდეგ აგერ საუკუნეზე მეტი გავიდა და ეს ბუჩქი დღესაც მნახველთა ყურადღებას იქცევს, როგორც ძალზე საინტერესო და უძველესი ეგზემპლარი. საერთოდ, გორა-ბერეჟოულის მიკროდენდროლოგიური ბაღი ცნობილია იშვიათი ჯიშის მცენარეებით. აქ 300-მდე ჯიშის მარადმწვანე მცენარე და ბუჩქნარია. ზოგი მათგანი შემოტანილია ამერიკის ქვეყნებიდან.

მომსახურების კომბინატი

ახლახან დაბის ცენტრში, მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი შენობა, სადაც მოთავსებულია რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ადმინისტრაცია და სხვადასხვა ობიექტი: ქალთა სალონი, ტანსაცმლის სამკერვალო, საპარიკმახერო და სხვ.

მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ფარცხმის ტყე-პარკს 120 სხვადასხვა ჯიშის მცენარე ამშვენებს. აქ, ღია ცის ქვეშ, მოეწყო გურიის ადრინდელი ხანის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მუზეუმი. მნახველის ყურადღებას იქცევს ძველთაძველი ყავრით დახურული სამზადი სახლი, ბეღელი, სახიმინდე, საფუტკრე, მარანი, ბაღჩა, არყის სახდელი... მცენარეებზე მირგულია გურიაში გავრცელებული ვაზის ჯიშები. — ჩხავერი, იზაბელა, მტევანდიდი.

2 მილიონი კილომეტრი — უავარიოდ

ავტოსატრანსპორტო საწარმოში ბევრი მოწინავე მძღოლია, რომელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობს კომუნისტი დავით ბერაძე. იგი რამდენიმე ათეული წელია ერთგულად ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას. საყურადღებოა, რომ მოწინავე მძღოლმა უავარიოდ გაიარა 2 მილიონი კილომეტრი.

ვოკალური ანსამბლი „ნადური"

რაიონულ კულტურის სახლთან ახლახან შეიქმნა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნადური" (ხელმძღვანელი ოთარ ცინცაძე). ანსამბლმა პირველი კონცერტები გამართა ჩაისუბნის, დაბლაციხის, ვან-ზომლეთის საკოლმეურნეო კლუბებში. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ანსამბლის მიერ შესრულებულმა ძველმა და ახალმა გურულმა სიმღერებმა.

ბ. ჩხაიძე.

მთაწმინდის ძირას ტყის პირზე რომ ჩაივლი, ფართო სამანქანო გზასთან სულ ახლოს, მოულოდნელი საჩუქარივით გადახარებს პაწია სკვერი.

ეს ერთი ხელისდადება მიწა როგორღაც ერთბაშად მოგწყვეტს ხმაურიანი ქალაქის დაძაბულ რიტმს, ნაფშვენი ხავსით მოკირწყლულ, თითქოსდა სათამაშო ბილიკით ნაბიჯ-ნაბიჯ შეგიტყუებს და... უკვე ტყეში ხარ.

იმ დღესაც ასე მოხდა. მე და ჩემი შვილიშვილი გიორგი ამ მაცდურმა ბილიკმა ტყეში შემოგვიყვანა.

შემოდგომის მიწურული იყო, ხეებს სამოსი შემოძარცვოდათ და ეს ოდესღაც ხასხასა მწვანე ფოთლები ახლა ოქროსფერ ხალიჩად ეფინა მიწას გულზე.

შუადღე იყო. გვიანი შემოდგომისათვის გასაოცრად თბილი მზის სხივები ხეების შიშველ ტოტებში თამამად ატანდნენ და სიკეთის ნათლად ეღვრებოდნენ ნაჯაფარ მიწას. ტყე გარინდული იყო, მხოლოდ ჩვენ ფეხებქვეშ აშარიშურებული ხმელი ფოთოლი და ტოტიდან ტოტზე გადაფრენილი ჩიტის შეფრთხიალება თუ არღვევდა ამ მყუდროებას.

და უცებ სადღაც, სულ ახლოს, ბავშვის შემკრთალმა ხმამ დაიძახა:

„არა, ზურია, იქით ველარ წამოვალ, მეშინია!". გავხედე და ჩვენგან სულ ათიოდე ნაბიჯზე, ფერდობზე, პატარა გოგო და ბიჭი დავინახე. გოგონა გამხდარი იყო, კაფანდარა, თბილად ჩაფუთვნული, ბიჭს კი, 12-13 წლის [illegible]

...გა ხნის სიარულის შემდეგ აგურით ამოყვანილ ნიშთან შევჩერდით.

— აბა, სად არის შენი ქებული წყარო? — ვკითხე და უმალ ვინანე: ზურა გამშრალი დასცქეროდა წყაროს ვიწრო კალაპოტს, რომელიც ბოთლების ნამსხვრევებით, კონსერვის ცარიელი ქილებით, რაღაც ნარჩენებით იყო ამოვსებული, ზედ კიდევ ბლომად ყვითელი ფოთოლი წაყროდა და წყაროს კვალიც კი გამქრალიყო.

— რა უქნიათ, არა სცხვენიათ?! — იძახდა ბიჭი და ტირილს აღარაფერი აკლდა. — ერთი კვირაა არ ვყოფილვარ, რას დაუმსგავსებიათ აქაურობა!

— კარგი, ნუ ნერვიულობ, გაწმენდენ და ისევ იჩუხჩუხებს შენი წყარო! — ვცადე დამშვიდება.

ბიჭმა გაოცებით შემომხედა:

— სხვამ რატომ უნდა გაწმინდოს, მე აქ არ ვარ? აქვე ვცხოვრობ ორ ნაბიჯზე... — თქვა და დაფაცურდა. იქვე, ნიშს უკან გადანახული ფართოპირა თოხი გამოიღო და კალაპოტის ამოსუფთავებას შეუდგა. გიორგი და პატარა გოგოც მიეშველნენ. მივხვდი: გამოუსწორებელ შეცდომას [illegible]

[illegible]

ფიქრები აღზრდაზე

მადლი სიკეთისა

[illegible]

აი თამაში, აი ქომაგობა!

ახლა, როცა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა, კვლავ ქვეყნის პირველობამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამართულმა პირველმა კალენდარულმა მატჩებმა დაგვანახვა, თუ რა სიძნელეები სდევს თან თამაშის ჩვეულ რიტმში ფეხბურთელთა ჩართვას. ამ მხრივ არც თბილისის დინამოელთა მონაწილეობით გამართული ორი მატჩი იყო გამონაკლისი. ამის მაგალითად ვიკმაროთ თბილისში მოსკოველ თანაკლუბელებთან გამართული შეხვედრა, რომელიც მასპინძლებმა შესამჩნევი, უფრო სწორედ აშკარა უპირატესობით წარმართეს: მართალია, იგი მინიმალური ანგარიშით (1:0, გოლი მე-19 წუთზე გაიტანა შენგელიამ) მოიგეს, მაგრამ გადალახეს სწორედ ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც ამ ბოლო წლებში თბილისელებს აუღებელ ზღუდედ ეჩვენებოდათ. გაგახსენებთ, ჩვენმა „დინამომ" მოსკოველ თანაკლუბელებთან საკავშირო ჩემპიონატის ბოლო კალენდარული მატჩი 1976 წელს მოიგო, და აი, მხოლოდ ახლა, 1982 წლის 14 ივლისს შეძლეს მათთან შეხვედრის გამარჯვებით დაგვირგვინება. რაც შეეხება მინიმალურ ანგარიშს, იგი სრულად არ გამოხატავს ამ გუნდების ძალთა თანაფარდობას. თბილისელებმა მეტოქეებზე გაცილებით [illegible]

[illegible]

ვინც იმ დღეს ქომაგობის ყალბი და მიუღებელი გზა აირჩია. და მით უფრო სასიამოვნოა, რომ გულშემატკივართა იმ ნაწილმა, რომელთა გამოც საჯარო მსჯელობა გაიმართა, სწორად გაიაზრა ყოველივე და უკვე მომდევნო მატჩზე ტრიბუნებიც თითქმის შეავსო და, რაც მთავარია, ნამდვილი, კეთილმოსურნე ქომაგობა და თანადგომა გაუწია საყვარელ გუნდს, გაუფრთხილდა რესპუბლიკის სახელსა და მის ტრადიციულ სტუმარ-მასპინძლობასაც. საინტერესო მატჩები კიდევ გველის, თუნდაც უახლოესი აღვნიშნოთ — მოსკოვის „სპარტაკთან". ამ შეხვედრაზეც, ამ ძველი მეტოქეების ასპარეზობის დროსაც ხომ ასეთი, 30 გულმხურვალე გულშემატკივრობა გვმართებს. პატივისცემა როგორც მასპინძელი გუნდისა, ისე სტუმრისა.

ახლა სხვა მატჩების შესახებ. ქუთაისის „ტორპედომ" მინსკში ადგილობრივ „დინამოსთან" ითამაშა. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:2 (1:2). დასანანია ის, რომ ქუთაისელებმა თანაბარი ანგარიში (2:2) ვერ შეინარჩუნეს და ბოლო წამებზე მიიღეს მინსკელთათვის გამარჯვების მაუწყებელი ბურთი. კიევის „დინამომ" დაამარცხა ალმა-ათის „ყაირათი" — 3:0 (3:0), ოდესის „ჩერნომორეცმა" — ტაშკენტის „ფახთაქორი" — 3:1 (1:1), ცსკამ — ხარკოვის „მეტალისტი" — 1:0 (1:0), მოსკოვის „ტორპედომ" — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" — 2:1 (2:1). ფრედ ითამაშეს ერევნის „არარატმა" და მოსკოვის „სპარტაკმა" — 1:1 (1:0), ლენინგრადის „ზენიტმა" და ბაქოს „ნეფთჩიმ" — 1:1 (0:0).

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი"	15	8	4	3	21-15	20
„დინ." (მნ.)	13	8	3	2	21-14	19
„მეტალისტი"	14	6	4	4	15-10	16
„ფახთაქორი"	14	5	6	3	13-13	16
„დინ." (თბ.)	12	6	3	3	21-18	15
„დინ." (კ.)	12	5	5	2	18-8	15
„სპარტაკი"	13	5	5	3	17-10	15
„ყუბანი"	13	5	4	4	20-17	14
„ნეფთჩი"	14	5	3	6	20-24	13
„დინ." (მ.)	14	5	2	7	16-17	12
„ტორპ." (მ.)	13	4	4	5	10-11	12
„ყაირათი"	14	4	4	6	15-21	12
„ზენიტი"	13	3	6	4	11-11	12
„დნეპრი"	14	3	6	5	14-20	12
ცსკა	13	5	1	7	13-18	11
„ჩერნომ."	14	2	7	5	12-15	11
„ტორპ." (ქ.)	14	2	5	7	16-23	9
„შახტიორი"	13	1	6	6	9-17	8

მომდევნო მეთექვსმეტე ტურის მატჩები გაიმართება 17 და 18 ივლისს; ამ ტურის პირველ დღეს თბილისის „დინამო" მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს", ქუთაისის „ტორპედო" კი ლენინგრადში „ზენიტთან" ითამაშებს.

ჯ. ენუქიძე.

დედაქალაქის სამხატვრო დარბაზებში

შორეული, ახლობელი ფერები

[illegible]

სურათებზე: საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ვ. დუგლაძე; გამოფენის ექსპონატები — „დედის პორტრეტი", „ციხისძირი", „ნეაპოლი — ძველი ციხესიმაგრე".

მხატვარი, პედაგოგი

[illegible]

...აღზრდილი ჯ. ხუნდაძე, — მონუსხულებივით ვუსმენდით. უზომოდ უყვარდა საქართველო. ქართველების არომატი ფერთა, ამბობდა, ქართველებმა კოლორისტებად უნდა გაიზარდონო. როგორც მხატვარი, იგი ერთი მოლინისა და თავისებურად მრავალფეროვანი შემოქმედია და დელაკრუას მსგავსად ყველა [illegible]

...დ. თაყაიშვილმა. დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს ე. ბერძენიშვილმა, ჯ. ხუნდაძემ და რ. თორძემ. გამოფენის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

ნ. თათელაძე.

ევროპის თასებზე

[illegible]

ფრანკფურტი, გდრ)-„ვერდე" (გფრ), „უნივერსიტატეა" (რუმინეთი)-„ფიორენტინა" (იტალია) [illegible]

ხაზზეა ბად-კისინგენი

ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბად-კისინგენს (გფრ), სადაც მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირი. საბჭოთა მოჭადრაკეების შედეგები ასეთია: პირველ ტურში ნონა გაფრინდაშვილი შეხვდა ლემაჩკოს (ბულგარეთი), მეორეში — ლევოველ ლიტინსკაიას (როივე პარტია გადაიდო), მესამეში — მაქსიმოვიჩთან (იუგოსლავია) დაზავდა; ლიტინსკაიამ მოუგო ჰუნდს (გფრ), ხოლო ლემაჩკოსთან პარტია გადადო; მოსკოველმა ფატალიბეკოვამ დაამარცხა კროტო (აშშ), პოგორევიჩთან (რუმინეთი) და ჰუნდთან შეხვედრები კი ყაიმით დამთავრა; კიეველმა სემიონოვამ ევანკსთან (უნგრეთი) ყაიმს მიაღწია, მოუგო კროტოს და წააგო პოგორევიჩთან. სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ პოგორევიჩი და კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 2,5-2,5 ქულა. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან ფატალიბეკოვას 2 ქულა აქვს, სემიონოვას — 1,5, ლიტინსკაიას — 1 (2 გადადებული), გაფრინდაშვილს — 0,5 ქულა (2).

საკავშირო რეკორდი

კიევიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: ცურვაში ქვეყნის ჩემპიონატის პირველ დღეს საკავშირო რეკორდი დაამყარა თბილისელმა ირინე გერასიმოვამ. თავისუფალი სტილით 100 მეტრი მან 56,4 წამში გაცურა და უკ[illegible]ლას აჯობა.

ტელევიზია

16 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — დონელი კაზაკების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი, 10.30 — ფილმი — ბავშვებს. „გოგონა და ნაინგი", 11.35 — „კომკავშირი ბედია ჩემი". დოკუმენტური ტელეფილმები, 12.20 და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ფილმები სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მე-40 წლისთავის გამო, 16.40 — რუსული ენა, 17.10 — მოსკოვი და მოსკოველები, 17.40 — საჭადრაკო სკოლა, 18.10 — სპორტლოტო, 19.15 — რუსეთთან ყაბარდო-ბალყარეთის ნებაყოფლობითი შეერთების 425-ე წლისთავის გამო. დოკუმენტური ტელეფილმი „ჩემი ყაბარდო-ბალყარეთი", 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — „ახლობელი და შორეული სიმღერა", 20.45 — მხატვრული ფილმი „სამი ვერხვი პლუშიხაზე", 22.00 — „ვრემია", 22.35 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი, 00.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.25 — ფილმი — ბავშვებს. „ფანტაზიორები", 10.25 სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 11.10 — ინგლისური ენა, 11.40 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა ლაბირინთში". II სერია, 12.45 — ძლიერნი, გაბედულნი, სხარტნი, 13.30 — დოკუმენტური ეკრანი, 14.40 — ცირკის არენაზე, 15.10 — ი. ა. გონჩაროვი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები, 16.00 — ხალხური კოლექტივების კონცერტი, 16.30 და 19.00 — ახალი ამბები, 19.20 — „პოეზია, ნიკოლას გილიენი", 20.00 — სოფლის საათი. სასურსათო პროგრამა საერთო-სახალხო საქმეა, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ცხოვრების საგზური, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „გრძელი გზა ლაბირინთში". III სერია.

16 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შემმარიტების გზით", 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციცქარა" — მხატვრული ფილმი „პეტკა არ გინახავთ?" და იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში", 12.00 — მხატვრული ფილმი „დიუმა კავკასიაში", 13.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 17.00 — ბავშვებისათვის — კინოალმანახი „ვარსკვლავა" და მულტიპლიკაციური ფილმი „მებრძოლი კალია", 18.00 — „ათი ათასად ზრდილობა", 18.50 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", 19.15 — „სსრკ-60" — „თუჯი და ადამიანები" (III გადაცემა.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — „მეგობრობის ეკრანი" ბულგარული მხატვრული ფილმი „ქირურგები", 21.55 — „ჩაი-82", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ლიტერატურული თეატრი — „მე ვარ უიტმენი", 23.15 — ახალი ამბები, 23.30 — „სსრკ-60" — „დიდი თეატრის გასტროლები თბილისში".

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 განცხადებები, 17.20 — მხატვრული ფილმი „უგამიო თამაში" (კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები).

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС უე 09288 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.